დანართი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ფარგლებში სტიპენდიების მინიჭების საფაკულტეტო წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ფარგლებში სტიპენდიებით დაფინანსება ითვალისწინებს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა დაფინანსებას წინა სემესტრის შედეგების გათვალისწინებით, შერჩევის საფუძველზე.
2. სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასებას ახორციელებს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ინდივიდიუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული მუდმივმოქმედი შესარჩევი კომისია.
3. კონკურსში მონაწილეობენ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები.
4. ყოველ სემესტრში ერთხელ, რექტორის ბრძანებით განსაზღვრული სტიპენდიით დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობა ნაწილდება აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობის პროპორციულად, კურსების მიხედვით. ეკონომიკის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტიპენდიით დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობა გამოიანგარიშება ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისგან დამოუკიდებლად.
5. წინამდებარე წესის მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ფაკულტეტის დეკანის ინდივიდიუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით.

მუხლი 2. სტიპენდიის კონკურსში მონაწილეობის პირობები:

1. სტუდენტები, რომლებსაც წინა კალენდარულ სემესტრში გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომი ან/და მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციაში საბუთების მიღების ვადის განმავლობაში, ფაკულტეტის ადმინისტრაციას წარუდგენენ შემდეგ დოკუმენტაციას:

   ა) განცხადება დეკანის სახელზე (იხ. ბმული);

   ბ) სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის/გამარჯვების დამადასტურებელი სერთიფიკატის ასლი;

   გ) სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა, ჩატარების თარიღის მითითებით;

   დ) გამოქვეყნებული ნაშრომის ქსეროასლი, სადაც ნაჩვენები იქნება კრებულის დასახელება, კრებულის სარჩევი, ნაშრომის სათაური, გამოცემის ადგილი და პერიოდი;

ე) ბეჭდით დამოწმებული საბანკო რეკვიზიტი საქართველოს ბანკიდან (ანგარიშის ნომრის ამონაწერი საქართველოს ბანკიდან) პირადი სტუდენტური ანგარიშის ნომრის მითითებით;

ვ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

2. სტუდენტებმა, რომლებმაც წინამდებარე წესის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად წინა სემესტრში ისწავლეს უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, დამატებით უნდა წარმოადგინონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
3. სტიპენდია არ გაიცემა:

ა) პირველი სემესტრის სტუდენტებზე;

ბ) დამატებითი სემესტრის სტუდენტებზე;

გ) იმ სტუდენტებზე, რომლებიც უნივერსიტეტში ჩარიცხულნი არიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე;

დ) სტუდენტებზე, რომლებსაც წინა ან მიმდინარე სემესტრში არ აქვს აქტიური სტუდენტის სტატუსი;

ა) სტუდენტებზე, რომლებმაც წინა სემესტრში ვერ მოიპოვა 30 კრედიტი.

მუხლი 3. სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება

1. სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით:

ა) აკადემიური მოსწრება - ფასდება 80 ქულით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში, ასევე ამ წესის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებებში, წინა სემესტრში სასწავლო კურსებში (არანაკლებ 30 კრედიტი) მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

ბ) სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება - ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით დანართი №1-ის შესაბამისად (ჩაითვლება წინა სემესტრში გამოქვეყნებული ნაშრომები. წინა სემესტრის პერიოდში იგულისხმება სააუდიტორიო მეცადინეობების დაწყებიდან მომდევნო სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობების დაწყებამდე პერიოდი).

გ) სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობა - ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით დანართი №2-ის შესაბამისად (ჩაითვლება წინა სემესტრში ჩატარებული კონფერენციები. წინა სემესტრის პერიოდში იგულისხმება სააუდიტორიო მეცადინეობების დაწყებიდან მომდევნო სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობების დაწყებამდე პერიოდი).

2. თუ კონკურსანტი სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობდა ან/და სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა თანამონაწილეობით, მისანიჭებელი ქულა გაიყოფა ყველა თანამონაწილის რაოდენობაზე.
3. თუ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის შედეგად სტუდენტის ნაშრომი გამოქვეყნდა, სტუდენტს მიენიჭება ქულა მხოლოდ იმ კატეგორიის (კონფერენციაში მონაწილეობდა ან ნაშრომის გამოქვეყნება) მიხედვით, რომელიც უფრო მაღალი ქულის მინიჭებას ითვალისწინებს.

დანართი №1

№	**სამეცნიერო ნაშრომების პუბლიკაციების ჩამონათვალი**	**მისანიჭებელი ქულა**
1	ქართულ გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები	
1.1	მ.შ.რეფერირებადი ჟურნალი	3
1.2	სამეცნიერო ნაშრომების კრებული (მ.შ. კონფერენცია)	2
2.	უცხოეთში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები	
2.1	მ.შ.რეფერირებადი ჟურნალი	5
2.2	სამეცნიერო ნაშრომების კრებული (უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების მიერ გამოცემული მ.შ. კონფერენციის შრომების კრებული)	2

დანართი№2

№	**სამეცნიერო სტუდენტური კონფერენციების ჩამონათვალი**	**მისანიჭებელი ქულა**
1	თსუ-ის სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია	
1.1	საუნივერსიტეტო/საფაკულტეტო კონფერენციაში მონაწილეობა	1.5
1.2	საუნივერსიტეტო/საფაკულტეტო კონფერენციაში გამარჯვება:	
	1 ადგილი	4
	2 ადგილი	3
	3 ადგილი	2
1.3	საკათედრო კონფერენციაში მონაწილეობა, გამარჯვება	1.5
2.	საქართველოში, თსუ-ის გარეთ ჩატარებული სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია - მონაწილეობა, გამარჯვება	1
3.	უცხოეთში ჩატარებული სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია - მონაწილეობა, გამარჯვება	3
4.	სტუდენტური პროექტების ფარგლებში ან სტუდენტების მიერ ორგანიზებული კონფერენცია	
4.1	მონაწილეობა	0.5
4.2	საპრიზო ადგილი	0.75